სამუშაოთა ორგანიზაციის (დემონტაჟის) პროექტი

1. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენისას გამოყენებული ნორმატივები

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შემუშავება მიზნად ისახავს სადემონტაჟო პროცესების ორგანიზებულად დაგეგმვასა და წარმართვას.

აღნიშნული პროექტის საფუძველზე სამშენებლო კომპანიამ უნდა შეიმუშავოს სამუშაოთა წარმოების პროექტი (სწპ).

პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა სუბიექტი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები სამუშაოთა მომზადების, წარმოების და ზედამხედველობის შესახებ, პროექტის შედგენისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- СНиП 3.01.01-85 „Организация строительного произврдства", М., 1989
- СНиП III-4-80 „Техника безопасности на строительстве", М., 1981
- Справочник инженера строителя, М., 1989
- Строительные стреловые самоходные краны, М., 1984
- კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები", ამონაკრები სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან, თბ., 1987.

2. მოედნის და არსებულ შენობა-ნაგებობათა დახასიათება

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო აზომვითი ნახაზები და ობიექტის ადგილზე დათვალიერება სოპ-ის შედგენის წინ მოხდა შენობების და ეზოს ტერიტორიის დათვალიერება დაშლის პირობების გაანალიზებითა და შესწავლით.

დემონტაჟისთვის განკუთვნილი ნაგებობა მდებარეობს ქ.თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩა №80 და წარმოადგენს ყოფილი "სასტუმრო ვაკე"-ს მრავალსართულიან შენობას.

ნაგებობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა და შედგება ერთმანეთისგან ანტისეისმური ნაკერებით გამოყოფილი სამი ბლოკისგან. პირველი ბლოკი 6 სართულიანია, მეორე ბლოკი – 8 სართულიანი, მესამე – ასევე 6 სართულიანი.

შენობის ყველა ბლოკი ეფუძნება ლენტურ საძირკვლებს, რომელიც თავის მხრივ შეკრულია რანდ-კოჭებით. ნაგებობის სართულშუა გადახურვის ფილები ანაკრებ ღრუტანიან ფილებს წარმოადგენს.

მისის ნაკვეთის ფართი 7.084კვ.მ-ს შეადგენს, ნაგებობის საერთო ფართი 11.800კვ.მ-ია, სამშენებლო მოცულობა – 46.585კბ.მ.

მიმდინარე ეტაპზე სადემონტაჟო სამუშაოები ნაწილობრივ შესრულებულია, კერძოდ განხორციელდა შიდა და გარე კედლების დემონტაჟი, საინჟინრო კომუნიკაციების და კარ-ფანჯრების დემონტაჟი.

ფაქტიურად დარჩენილია ნაგებობის კარკასი, რომლის დემონტაჟსაც ითვალისწინებს სამოშაოთა ორგანიზაციის აღნიშნული პროექტი.

3. მითითებები სამუშაოთა წარმოების თაობაზე

- სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებას წინ უსწრებს ტერიტორიის შემოღობვა 2.20მ სიმაღლის დროებით ღობით, დროებითი ნაგებობების (გასახდელი, სან-კვანძი და ა.შ) და საინჟინრო ქსელის (ტერიტორიის განათება, წყალსადენი და ა.შ) მოწყობა. სამუშაოთა დაწყებამდე ასევე უნდა მოხდეს პერსონალის ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და ზოგადად სამუშაოთა მსვლელობაზე;
- შესაძლო დაზიანების რისკის აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია მუნიციპალური სამსახურებიდან ინფორმაციის მიღება ტეირიტორიაზე გამავალი საინჟინრო კომუნიკაციებზე.
- დასაშლელი სამუშაოების წარმოების პერიოდში, დრობითი ღობის ფარგლებში, უნდა მოხდეს გადარჩენული მასალა-ნაკეთობების (აგურის, გადახურვის ფილების და სხვ.) დასაწყობება;
- სამშენებლო ნარჩენებისა გატანა გათვალისწინებულია თბილისის მერიის მიერ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე - ნაყარში თვითმცლელებით;
- სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულება, შენობათა დაშლის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სამუშაოების წარმოება იგეგმება კარკასის ელემენტების და გადახურვის ღრუტანიანი ფილების დემონტაჟით ამწის გამოყენებით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჩაჭრის წინ ფილაზე საჭიროა ამწის კაუჭის ჩაბმა, ხოლო აწევა შედუღებული პირაპირების სრული ჩაჭრის შემდეგ. აგლეჯვა დაუშვებელია! აგლეჯვის შემთხვევაში მოსალოდნელია მიმდებარედ სხვა მალებში განლაგებული კონსტრუქციული ელემენტებიც დაზიანდეს.
- საძირკვლის დემონტაჟის განხორციელება შესაძლებელია პნევმატური სანგრები ჩაქუჩების მეშვეობით, რომლის შემდეგ ექსკავატორი სამშენებლო ნაგავს დატვირთავს თვითმცლელზე.

	შეადგინა		დ. ჭელიშვილი	სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	თრღ	2013
				ყოფილი სასტუმრო ვაკეს დემონტაჟი		
				განმარტებითი ბარათი	ფ-ბი	4
					ფრც	1

4. მშენებლობის კალენდერული დაგეგმვა

მშენებლობის პირველ ეტაპზე იგეგმება ტერიტორიის შემოღობვა და დროებითი საინჟინრო ნაგებობების მოწყობა, კარკასის ელემენტების, მათ შორის გადახურვის ღურტანიანი ფილების და მზიდი კედლების დემონტაჟი მოსდევს. ბოლო ეტაპია საძირკვლების დემონტაჟი.

წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით და მშენებლობის კალენდალური გეგმით, გათვალისწინებულია სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რითმით ნაკადური მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს მომუშავეთა გადაადგილებას შენობის ცალკეულ ნაწილებზე მათზე დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად. ცხადია სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა.

მოსამზადებელ სამუშათა ხანგრძლიობა განისაზღვრა სნ და წ 1.01.03-85* მიხედვით. ამ ნორმატივების გათვალისწინებით მშენებლობის ხანგრძლიობა პროექტით გაანგარიშებულია სამუშაოთა ფიზიკური მოცულობების მიხედვით. რამდენადაც სამუშაოთა ძირითადი ნაწილი ინტენსიური განაშენიანების გამო უნდა შერულდეს ხელით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 6 თვიანი ხანგრძლიობით.

5. უსაფრთხოების ტექნიკა და ზედამხედველობა

მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

სამუშაო ადგილები მუშაობების პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

როგორც ადრე აღინიშნა კონსტრუქციების დაშლა წარმოებს მათზე სამარჯვი კაუჭების წინასწარი ჩაბმით. კონსტრუქციის ჩაჭრისა და მათი ამწის ისარზე შეკიდების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამწის ტვირთამწეობა, რისთვისაც მათი წონაც წინასწარ უნდა დაზუსტდეს.

ასევე სამარჯვი კაუჭები ჩასაჭრელ კონსტრუქციებზე ჩაებას სიმეტრიული გათვლით, სამაგრების საიმედობის შემოწმებით, ტროსები დაიჭიმოს ასევე საიმედოდ, რათა მათი ჩაჭრისა და თავისუფალ მდგომარეობაში გადასვლისას გამოირიცხოს მათი თავისუფალი ვარდნის შესაძლებლობა მცირე სიმაღლეზეც ჩაჭრის ოპერაციებში დასაქმებულ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ამწის მდგრადობის პირობების გათვალისწინებით. კონსტრუქციების ჩაჭრა განხორციელდეს „ბოლგარკის” ტიპის ჩამჭრელი თანამედროვე მოწყობილობებით.

ჩაჭრის ზონაში მომუშავეთა უსაფრთხო მუშაობის უზრუნველსაყოფად ხარაჩო-სადგამები აღიჭურვოს მოაჯირებითა და საიმედოდ მიყრდნობილი კიბეებით.

აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა ჩაჭრის პერიოდში გადახურვის სიბრტყეში 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

ამწეების მუშაობის პერიოდში დაუშვებელია უცხო პირთა, ასევე დაშლის ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო გენგეგმაზე შემოფარგლული ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში. ასეთი ზონები სცილდება შემოღობილი ტერიტორიის ფარგლებსაც, რის გამოც აუცილებელია შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელება: იკრძალება ისრის ტრიალი დასაშლელი შენობის გარეთ; დაშლილი კონსტრუქციის ჩამოშვება უნდა განხორციელდეს შენობის ვერტიკალის გასწვრივ მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებებში პირდაპირი ჩატვირთვით; კონსტრუქციიდან მარეუჟების ჩახსნაზე გამოყოფილი მუშები შორიდან ხელმძღვანელობენ ჩამოშვების პროცესს; შემდეგ უახლოვდებიან მანქანებს და ასრულებენ მათ მანქანებში ჩატვირთვას უსაფრთხოების წესების დაცვითა და მარეუჟების შეხსნით.

იკრძალება ამწის ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება მოედნისა და ქუჩის მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

აუცილებელია დროებით ღობეებზე გაიკრას ამწის მოქმედების სახიფათო ზონების აღმნიშვნელი ფირნიშები ღობის გარეთა რადიუსების მითითებებით მეტრებში. დამის პერიოდებში უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები აუცილებელია განათდეს.

კონსტრუქციათა ჩაჭრის პროცესში ნებისმიერ სართულზე იკრძალება სხვა სამუშაოთა წარმოება, ცხადია მუშა-მოსამსახურეთა ყოფნასთან ერთად.

დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ დამცავი ჩაფხუტებით.

დაუშვებელია მანქანების, ამწეების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ლითონის ელემენტების ჩაჭრას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით ქვედა იარუსებზე 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

	შეადგინა		დ. ჭელიშვილი	სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	თრჯ	2013
				ყოფილი სასტუმრო ვაკეს დემონტაჟი		
				განმარტებითი ბარათი	ფ-ბი	4
					ფრც	2

6. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამო- ყრა. სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავსაყრელ მილებში, სასურველია მათი პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოვუშვათ ამწის ან სამშენებლო საწევლების საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე ტრანსპორტირება.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონებიდან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო ჭებში. გენგეგმებზე მათ მოსაწყობად მითითებული ადგილები შესაძლებელია შეიცვალოს საკანალიზაციო ჭების სიახლოვეს მათი განთავსებით ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონების საზღვრების გათვალისწინებით.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

7. სამშენებლო მანქანა-მექანიზმები

№	დასახელება	მარკა	რ-ბა
1	2	3	4
1	მობილური ამწე	RDK-25	1
2	ერთჩამჩიანი ექსკავატორი 0.5მ^3 ჩამჩით	ეო-5015	1
3	თვითმცლელი	სხვადასხვა	1
4	გადასატანი კომპრესორი	სო-45	1
5	შესადუღებელი აგრეგატი	სო-48	1
6	ავტოგენის შესადუღებელი აგრეგატი	კომპ.	1
7	ლითონის სახარაჩო ინვენტარი	კომპ.	1
8	სხვადასხვა დანიშნულების ხელის იარაღი	კომპ	1

მითითება: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტები შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

‘

8. სამუშაოთა წარმოების კალენდალური გრაფიკი

№	დასახელება	დღე	მშენებლობის პერიოდი - თვე					
			1	2	3	4	5	6
1	მოსამზადებელი სამუშაოები	30						
2	კარკასის ელემენტების დემონტაჟი	90						
3	საძირკვლის დემონტაჟი	30						
4	ტერიტორიის დასუფთავება	30						

	შეადგინა		დ. ჭელიშვილი	სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	თრჯ	2013
				ყოფილი სასტუმრო ვაკეს დემონტაჟი		
				განმარტებითი ბარათი	ფ-ბი	4
					ფრც	3



9. გენერალური გეგმა

პირობითი აღნიშვნები

++++++++++ დროებითი ღობე

▼ შესასვლელი

ექსპლიკაცია

1. ძირითადი შენობა
2. კოშკურა ამწე
3. ღია საწყობი
4. არსებული ნაგებობები

მ: 1:500

	შეადგინა		დ. ჭელიშვილი	სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	თრჯ	2013
				ყოფილი სასტუმრო ვაკეს დემონტაჟი		
				განმარტებითი ბარათი	ფ-ბი	4
					ფრც	4

















ფოტოები